№ 582 სამშაბათი, 14 ივლისი. 1896—1898 სამშაბათი, 14 ივლისი. № 582

სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ.,
სათ.-აზნაურთ ქარვასლა.

ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართავენ რედაქციას დილის 10—8 საათამდე და საღამოს 6—7 და „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიას.

ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.

პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363.

გაზეთი „ცნობის ფურცელი" ღირს
წლის დამლევამდე 3 მ. 50 კ.

დაიბეჭდა და გადაეცა „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" მაღაზიას გასასყიდათ ახალი წიგნი

**თ. ილია ჭავჭავაძე**

ბიოგრაფიული და კრიტიკული ეტიუდი
წერილი პირველი
მეგახლავარ-ისა
ფასი 20 კაპ.

ვინც დაიბარებს ათს ცალზე მეტს ხსენებულ მაღაზიიდგან, მას დაეთმობა 20%. (15—11)

გამოვიდა და ისყიდება ახალი წიგნი

**სადღეგრძელოები**

ამხანაგობის „გლეხის" გამოცემა
ფასი 5 კაპ.
მსურველნი მიჰმართავენ ზესტაფონში მ. გაჩეჩილაძეს. (10—8)

**ქართველ საზოგადოების საყურადღებოდ**



ქართველ ხელოსანთა ამხანაგობა „შრომა".

ტფილისის ქართველ ხელოსნებმა დიდი ხნის სურვილი განიხორციელეს, შეადგინეს ამხანაგობა და გახსნეს საამხანაგო ქარხანა.

**ქარხანა იღებს შირაანად და იაფად აკეთებს საქმეებს: სადურგლოს, სასტალროს, საჩუქურთმოს, სახარატოს (ტოკარი)**

იაფად და ხმელის მასალისას.

**ამზადებს:** მაგიდებს, შკაფებს, კამოდებს, კრაოტებს, ბუფეტის შკაფებს, **შენობებისთვის** კარს, **ჩარჩოს** და სხვა, ყველანაირს ხის საქონელს. მუშტარი მოიკითხავს ქარხანაში უფროსს ოსტატს, რომლისაგანაც შეიტყობს ყოველს ნივთზე გადაწყვეტილს ფასს.

მმართველობა ამხანაგობისა სასტიკს ყურადღებას მიაქცევს, რომ ფასები ერთი და იგივე იყოს ყველასათვის, მასალა მშრალი და საქმე შესრულებული დაპირებულ ვადაზე.

პატივის-ცემით: გამგეობა „შრომის" ამხანაგობისა
ადრესი: ხიდზედ, მუხრან-ბატონის შენობაში. (100—14)

ქ. ქუთაისი
ამ წლის ენკენისთვეში
ღარიბთ სამკითხველოს
ფონდისთვის
გამართული იქნება

**ვაჭრობა-ბაზრობა**

დიდის მადლობით მივიღებთ ყოველ-გვარ შემოწირულებას ამ კეთილი საქმისათვის.

(12—1) ელენე ჯინოშვილისა

თანახმად წერილებით თუ სიტყვით მრავალჯერ გამოცხადებულის საზოგადოების სურვილისა ამხანაგობამ მოსახერხებლად სცნო რამდენადაც-კი შეიძლება ფასი დააკლოს მის მიერ გამოცემულ წიგნებს.

ფას-დაკლებით წიგნები მარტო ამხანაგობის კიოსკში იყიდება—ქ. ტფილისში, დორის-მელიქოვის ქუჩ.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ ფული უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.

წიგნები გაიყიდება შემდეგ ფასებად:

| | |
|---|---|
| თხზულებანი ა. ყაზბეგისა ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი, ოთხი ტომი, თითო ტომი | 1— „ |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი | „—50 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა-პოემა ბაჩანასი | „—10 |
| ბნელი, მოთხრობა ნ. მელანიასი (ფსევდონიმი) | „—20 |
| თხზ. ი. ჭავჭავაძისა, ავტორის სურათით და ფაქსიმ., I ტომი | „—70 |
| იგივე . . II ტომი | „—60 |
| იგივე . . III ტომი | „—60 |
| იგივე . . IV ტომი | „—80 |
| სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა | „—10 |
| თხზულებანი აკაკისა, ტომი I | „—60 |
| იგივე ტომი II | „—60 |
| თხზ. რ. ერისთავისა ტომი I | „—60 |
| არაკები, საბა ორბელიანისა, ბავშვებისთვის | „—25 |
| სიბრძნე-სიცრუვე, მისივე | „—40 |
| საქართველო და მისი წარსული დრო, გ. პოტტოსი | „—20 |
| აივენგო, ვალტერ სკოტისა | „—50 |
| აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ქ. ტფილისში | „—15 |
| გაბრიელ ეპისკოპოსი სურათით | „—15 |
| სამზარეულო ქართულ და ევროპიული საჭმელებისა | 1—20 |
| ღვინის დაყენება, პროფესორის გ. პეტრიაშვილისა | 1—50 |
| სიბრძნე ბალავარისა | „—30 |
| ცეცხლითა და მახვილითა, რომანი გ. სენკევიჩისა | „—80 |
| დასტურ-ლამა, თხზულება ნიკოლოზ ლადიანისა | „—10 |

ვინც აქ გამოცხადებულ წიგნებს ყველას ერთბაშად იყიდის, დაეთმობა 14 მანეთად. ქალაქ გარეშე მცხოვრებთ გაეგზავნებათ წიგნები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წიგნების ფასთან ფოსტის ხარჯს 1 მან. გამოგზავნიან.

ამ ფასად წიგნები გაიყიდება მხოლოდ 1 ოქტომბრამდე.

წარსული წლების ჟურნალი „მოამბე" გაიყიდება შემდეგ ფასებად:
1893 და 1895 წლ.—7 მან. და 1896 და 1897 წლ.—5 მანეთად.

მხოლოდ ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თითო წლის „მოამბე"-ზე ფოსტის ხარჯათ 60 კაპ. უნდა გამოგზავნონ; (100—95)

გამოვიდა და ისყიდება
ქალაქის ყველა მაღაზიებში და ეკკლესიებშიაც
ცხოვრება დიდის მოწამისა

**იაკობ დაჭრილისა**

(სურათით)
გამოცემა მორჩილის რ. ბარამიძისა
ფასი ერთი შაური (10—3)

სამკურნალო და ამბულატორია

**ს. ბ. თოფურიასი**

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან:

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე· შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფურია.** საქირურგიო ავამყოფობას და სიფილისს **ფ. კ. გერრატი.**

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კობანი.**

20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r **ф. ბაცევიჩი.**

თვალების ავადმყოფობას—**ი. კ. ვარშავსკი.**

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და საჟისთვის.

სამკურნალო დირექტორი **ს. ბ. თოფურია.**

*Лѣчебница С. В. Топурія* въ Кутаисѣ.

# ახალი ამბავი

⁂ ქუთაისის ქალაქის მოურავის არჩევა. გუშინ-წინ სალამოს ქუთაისიდან დეპეშამ გვაცნობა, რომ მიუხედავად ყოველივე სამართლიანობისა, ქალაქის მოურავად არჩეულ იქმნა ისევ ლუარსაბ თეიმურაზის ძე ლოლუა, რომელსაც გასულის ოთხის წლის განმავლობაში არაფერი შეუძენია ქალაქისათვის და რომელმაც საეჭვოა აწ მაინც გააკეთოს რამე, რადგან რისამე გაკეთებისათვის თავდაპირველად კაცს ხალისი უნდა ჰქონდეს, მერე ძალ-ღონე და უნარი...

ბ-ნი ლოლუა აურჩევიათ 31 ხმით წინააღმდეგ 28-სა, მაშასადამე, სამს კენჭს ურგუნებია ბ. ლ. ლოლუასათვის მოურავობა! სამის ხმის უმეტესობა სრულებითაც არ ნიშნავს გამარჯვებას, ხოლო თუ მხედველობაში მივიღებთ იმ განმტკიცებულს ოპოზიციას, რომელთანაც საქმე ექნება ბ-ნს მოურავს, მაშინ ადვილი წარმოსადგენია, თუ რა ყოვლად უნაყოფო იქნება ღვაწლი ახალის გამგეობისა და, სამწუხაროდ, თვით საბჭოსიც.

⁂ უმაღლესი ბრძანება. ხელმწიფე იმპერატორმა უბოძა წმ. ვლადიმირის მე-4 ხარისხის ორდენი თურქესტანის მეოცე ბატალიონის პოდპორუჩიკს ვლადიმერ კარსელაძეს.

⁂ მთავრობის განკარგულება. ხარკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტში კურს-დამთავრებული ექიმი ვლადიმერ მახვილაძე და კავკასიის სტიპენდიატად ნამყოფი თავ. იოსებ თუმანიშვილი დანიშნულ იქმნენ უმცროს შტატ გარეთ ორდინატორებად ტფილისის მიხეილის საავადმყოფოში, პირველი ამ წლის 17 აპრილიდან, მეორე 27 მაისიდან.

⁂ სამოსწავლო გადასახადის მომატება. ოზურგეთის ქალაქის სასწავლებელში კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის-მიერ მომატებულ იქმნა სამოსწავლო გადასახადი 12 მანეთიდან 16 მანეთამდე წლიურად თვითეულ მოწაფეზე.

⁂ სენაკის მაზრის მცხოვრებთა თხოვნა. სენაკის მაზრის ხუთმა სასოფლო საზოგადოებამ შუამდგომლობა აღძრა საგუბერნიო მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ ედროვოს მათ საკომლო გადასახადი, სხვა-და-სხვა გაჭირვების გამო.

⁂ ბამბის მოყვანა კავკასიაში. რადგან კავკასიაში ბამბის მოყვანის საქმე თანდათან ვითარდება, ამის გამო მიწად-მოქმედების სამინისტრომ გადასწყვიტა დაარსებულ იქმნას კიდევ რამდენიმე სამაგალითო ბამბის ყანა ერევნისა და განჯის გუბერნიებში.

⁂ კავკასიის მხედრობა და თოფის სროლა. რუსეთის ჯარის 1897 წლის ანგარიშიდან თოფის სროლის შესახებ, სჩანს, რომ კავკასიის მხედრობას პირველი ადგილი უჭირავს თოფის სროლაში. მაგალითად, 360 მხედრობაში ყველაზე უფრო დიდი პროცენტი მოუცია კავკასიის მეოთხე თოფის მსროლელ ბატალიონს, რომელიც ანგარიშში პირველად არის აღნიშნული, მას შემდეგ მიჰყვება ამას წინად შემდგარი კავკასიის მე-2 მსროლელი დრუჟინა, მერე—კავკასიის დანარჩენი მსროლელი ბატალიონები და გრენადერთა მე-14 ქართული პოლკი.

⁂ მთხოვნელების მიღება. ხვალ, 15 ივლისს, სასახლეში მთავარ-მართებლის თანაშემწე მიიღებს მთხოვნელებს და მოსამსახურე პირთ.

⁂ სოფ. რიონის მცხოვრებთა თხოვნა. ქუთაისის გუბერნიის სოფ. რიონის მცხოვრებთ, რომელნიც მეტად შევიწროებულნი არიან სხვა-და-სხვა გვარი გადასახადებით, მიუმართნიათ საგუბერნიო მთავრობისათვის თხოვნით, გაგვანთავისუფლეთ ცხენებზე დაწესებულ გადასახადისაგანო.

ჩხუბი სკრის სადგურზე. გუშინ ტფილისის ოლქის სასამართლოს გამომძიებელს დანილოვს მოუვიდა სადგურ სკრიდგან (გორის მაზრაა) შემდეგი დეპეშა: „გუშინ 12-ს ივლისს ღამის 7-ს საათზედ და 40 წამზედ ჩვენს სადგურს დაეცა სოფელ სკრის მცხოვრები თავადი შალიკაშვილი. თან მოჰყვა კიდევ ერთი ვიღაც უცნობი პირი. ორთავენი შეიარაღებულები იყვნენ. შალიკაშვილმა დასჭრა ხანჯლით ჩვენი სადგურის ჟანდარმი ხოვსუნი. გთხოვთ დახმარება აღმოგვიჩინოთ, კიდევ მალე მოველით დაცემას. სადგურის უფროსი ხინაროვი.“

⁂ გორის მაზრის მემამულეთა ამხანაგობა, 1 ამ თვიდან უნდა გაღებულიყო გორის მაზრის მემამულეთა ამხანაგობის განყოფილება ქ. გორში და ვაჭრობაც უნდა დაწყებულიყო. სუყველაფერი მოამზადეს, სავაჭროც თითქმის ხუთასი თუმნისა მოიტანეს, მაგრამ ამ დღეებში ისევ უკან დააბრუნეს. მიზეზი ამისი, როგორცა სჩანს, ისაა, რომ ამხანაგობას არა ჰყავს ეხლა გამგე-დირექტორი, დაკარგულ თ. ივ. გ. მაჩაბლის სამაგიერო.

⁂ ყაჩაღობა გორის მაზრაში. გაიფოთლა ხეები თუ არა, ყაჩაღობაც გაჩნდა. ატენის ხეობაში გამოჩნდა ჯგუფი ყაჩაღებისა. ორჯერ დაეცნენ იქაურ მცხოვრებთ და დიდი თოფის სროლაც მოხდა, თუმცა-კი დაჭრილი არავინ არის. ამბობენ, ბოროტ-გამზრახველნი ბობნევის საზოგადოების ოსები არიანო.

მცირე შენიშვნა თუშურ ერბო-კარაქზე. ჟურნალ „მოამბის“ მეხუთე ნომერში ეს ეს არის წავიკითხე წერილი ბ-ნის ივ. ბუქურაულისა. „ლაშარის ჯვარი და თამარ დედოფალი“, რომლის წერილის ერთმა ადგილმა (გვერდი 71 და 72) ერთობ შემაძრწუნა. საქმე ის არის, რომ ჩვენს ქვეყანაში განთქმულს თუშურ ერბოს თურმე ისეთს სიბინძურეში და ბინძურათ აკეთებენ, რომ წარმოსადგენათაც კი ძნელია. პროექტების შედგენა არ ძალ მიძს, მაგრამ რომ ზემოხსენებული სიბინძურე აღმოიფხვრას, საჭიროა რამდენიმე პირები შევერთდეთ, გამოვიღოთ ცოტაოდენი თანხა, მოვიწვიოთ მცოდნე პირი და შიგ მთიულეთში გავხსნათ ფერმები; ჩვენმა რწმუნებულმა პირებმა იქვე ხალხში იქირაონ ძროხები და იქვე მოამზადონ ერბო-კარაქი. ნაწარმოები, რა თქმა უნდა, გაუსაღებელი არ დაურჩებათ და თან ორ მიზანს მივაღწევთ: ერთი ისა, რომ სუფთად დამზადებულ ერბო-კარაქს მივიღებთ და მეორე—ხალხს სისუფთავეს მივაჩვევთ, თორემ... მაგრამ აქ გავჩუმდები.

ალექსანდრე თოიძე

⁂ მადლობა შემოწირულობისათვის. ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ თქვენის პატივცემულის გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოვუცხადოთ დ. ყვირილის მცხოვრებს ბ-ნ მიხეილ ბარამიძეს, რომელმაც შემოსწირა თექვსმეტი ქართული წიგნი, ღირებული 2 მ. და 84 კ. ჩემ მიერ დაარსებულ ქართულ ბიბლიოთეკას.

დიმ. მაჭავარიანი

⁂ ოზურგეთი. † მოსე ურუშაძე. 8 ამ თვეს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მოსე ოქროპირის ძე ურუშაძე. რომლის სიკვდილმაც დაალონა მთელი ოზურგეთი. განსვენებული პატიოსანი და მხნე კაცი იყო, მშრომელი და გულ-შემატკივარი ვაჭარი. იგი იყო ზედამხედველი საქალაქო სასწავლებლისა, იყო აგრეთვე ქალაქის მოურავის თანაშემწე. არ იყო ისეთი საზოგადო საქმე, რომ მას მხურვალე თანაგრძნობა არ გამოეჩინა და მონაწილეობა არ მიეღო; რამდენი ყმაწვილი გაზრდილა იმის ხარჯით. საუკუნოდ იყოს ხსენება შენი პატიოსანო და გულ კეთილო მოსევ!

იდაშვილი

⁂ ქუთაისი. ქართული ახალი საზოგადოება. 5 ივლისს შედგა კრება სოფლის და რამდენიმე ქალაქის მასწავლებელთა „ქუთაისის გუბერნიის მასწავლებელთა დამხმარებელ საზოგადოების წესდების“ შესამუშავებლათ. ამ მეტათ სიმპატიურ და საზოგადო მნიშვნელოვანი საქმის დასაწყისი თვით სოფლის მასწავლებელთაგან მომდინარეობს. ან კი ვის უნდა ეგრძნო თუ თვით სოფლის მასწავლებელთ არა თავისი დღევანდელი გაჭირვებული მდგომარეობა და ამაზე საზოგადოების ყურადღება მიეპყრო. არა ერთხელ და ორჯერ შეხვედრიხარ, უეჭველია, მკითხველო, გაზეთების ფურცლებზე მათი გაჭირვებული მდგომარეობის ამბებს, არა ერთხელ და ორჯერ შეხვდებოდით მათ საფუძვლიან საყვედურს „სოფლის კუნწულების“ შესახებ, რომ ისინიც ხელს უწყობენ მათ ყოვლად დაქვეითებულს მდგომარეობას მარტო იმითაც კი, რომ ყლაპვენ მათ მცირეოდენ ჯამაგირებს, რასაც ხალხისაგან იღებენ, რის გამოც საჩივრები საჩივრებზე მიდის სოფლის მოხელეებზე. ასეთი მოვლენა უფრო ხშირია სამრევლო სკოლის მასწავლებელთა ცხოვრებაში, რადგან მათ გადაწყვეტილი ჯამაგირები არ ეძლევათ მთავრობისაგან, როგორც ეს სამინისტრო სკოლებშია შემოღებული. მათი ცოტაოდენი ჯამაგირები, რასაც ისინი სოფლელებისაგან იღებენ დიდი ტანჯვით ბადებს ხალხსა და მასწავლებელთ შორის მუდმივ უკმაყოფილებას, რასაც, რა თქმა უნდა, ცუდი გავლენა აქვს შეგირდებზედაც.

გურიის ერთ უფრო შეგნებულ მასწავლებელს ბ. გ. წულუკიძეს შარშან დაეხატა აზრი მასწავლებელთა დამხმარებელ საზოგადოების დაარსებისა. ეს აზრი მან თავის მეგობარ-ამხანაგებთან ერთად წარუდგინა შარშანვე ქუთაისში კურსებზე მყოფ მასწავლებელთა კრებას, რომელმაც იგი მოიწონა, აირჩია კომისია და მიანდო წესდების შემუშავება. ამ კომისიამ თვისი მოვალეობა შეასრულა და წელს, 5 ივლისს ახლა კურსებზე მყოფ მასწავლებელთა კრებას წარუდგინა განსახილველათ. კრებას 70-დე კაცი დაესწრო და საერო სკოლების ბ. პ. ი. სავიჩის თავმჯდომარეობით შესწორებული იქმნა წესდება და დაევალა ახალ კომისიას, ბ. ი. სანებლიძეს, ი. ოცხელს და სამოქალაქო სკოლის ინსპექტორს ვ. ვარიაშოვს იზრუნონ იმის დამტკიცებაზე. ბ. პ. სავიჩმა და სამრევლო სკოლების მეთ-

ვალყურემ მ. კელენჯერიძემ იკისრეს ეგსარხოსთან და ბ. იანოვსკისთან ამ წესდების დასამტკიცებლად ტფილისში წასვლა და პირადათ მოლაპარაკება. ზემორე დასახელებულ პირთა მხურვალე მონაწილობის მიღებამ მასწავლებელთ იმედი მისცა საქმის კეთილათ დაბოლოებისა და ისინიც, უეჭველია, ამათ იმედებს გაამართლებენ... („კვალი“).

*** **იმერეთი. ჭალის მთის იჯარით გაცემა.** ეს მთა დაშორებულია დ. საჩხერეზე 13 ვერსით და მდებარეობს აღმოსავლეთის მხრივ. ჩვენში, როგორც სხვა მრავალი ბოლოზიანი ადგილები, მათ შორის, ერთ გამოულეველ სიმდიდრედ უნდა ჩაითვალოს ეს მთა, რადგანაც ამ უკანასკნელმა, ეს სამი თუ ოთხი წელიწადი იქნება, რაც იმდენი სახელი დაიმსახურა, რომ, არამც თუ მარტო რუსეთის მდიდარმა ვაჭრებმა, არამედ მრავალმა საზღვარ-გარეთლებმაც კი მოიწადინეს მისი ხელში ჩაგდება, მაგრამ დიდ ბედნიერებად უნდა ჩაითვალოს ამ მთის მეპატრონეებისათვის და მთლად ამ მხარესათვის ის გარემოება, რომ ეს მთა გადაურჩა უცხო პირთა ბრჭყალებს.

ამ დღეებში ხსენებულ მთის მეპატრონეებს, ოცდა ხუთი წლით შეეკრა ერთი რუსეთის მდიდარი ვაჭარი, გვარად პოზდეევი, (ჩამომავლობით ყაზახია), რომელმაც წლის განმავლობაში უნდა იხადოს ოცდა ხუთი ათასი მანეთი. პირობების შეკვრაზე ორთავ მხარემ დიდი გაწვალება გამოიარეს, რადგანაც მთის მეპატრონებად თითქმის 100 კაცი ითვლება და აბა წარმოიდგინეთ, თუ რა ადვილი იქნებოდა ამდენი კაცის ერთ სიტყვაზე დაყენება. წლიურ იჯარას გარდა პოზდეევი იხდის ბაჟსაც.

ერთ საძნელო საქმედ ისიც უნდა ჩაითვალოს, რომ ამ მთებში ჯერ-ჯერობით გზები სრულებით არ არის და ეს კი ოცი ათასამდი კი არა მგონი მეტსაც მოინდომებს; ხალხი ძალიან ემადლიერება ბ-ნ პოზდეევს და ამბობენ, ამისთანა უხვი კაცი ჯერ არ გვინახავსო.

ა—რე ხაბულიანი

*** **გურია. ახმედ ოფი-ოღლის ნაამბობი.** ახმედა თათარი არის 84 წლისა. ჯერ კიდევ ჯან-მრთელად არის, მუშაობა შეუძლია. არის ხურო. 23 ეკკლესია გაუკეთებია და ეხლა რწმუნებულ ჩემდამი ეკკლესიასაც აკეთებს. თან ახლავს ორი ვაჟი, ორივე საუკეთესო ხუროები. ახმედას უყვარს ძველი ამბების ლაპარაკი და ბევრიც მიამბო. სხვათა შორის, ერთი ამბავი გადმომცა ქ. ოზურგეთის სამხედრო ეკკლესიის შესახებ: „ორმოცდა ათი წელიწადი იქნება მას აქეთ, რაც ოზურგეთში რუსების ეკკლესია ავაშენეთ მე და მუსთაფამ—ჩემმა ძმამ. ეკკლესიის აშენება ხელმწიფემ ბრძანა. ვაშენებდით და პლანს „პომპოლიკი კოდმეიჭი“—ასე უძახოდით, გვაძლევდა. ეკკლესიის აშენება როდესაც დავასრულეთ, პომპოლიკმა მიგვიხმო მე და მუსთაფა და სხვებს, ვინც კი იყო იქ მაყურებელი, გაიწიო უთხრა; მოვთხარეთ მე და მუსთაფამ, მისი ბრძანებით, წელამდინ მიწა, მოვიტანეთ ორი ჩახანა, ერთში რუსის პომპოლიკმა ჩააწყო 1,900 ვერცხლის თითო მანეთიანები, ერთი მოწითანო ფერის სანთლით თავდაცული ბოთლი, შელიფული ნაწერი ქახალდი და ამ ჩახანას მეორე ჩახანა გადაახურა და ამოთხრილში ჩადვა; მერე მუსთაფას კირი და სილა მოაზელია და ამოთხრილში ჩახანა ჩააკირვია. ეს ჩვენ მოვათხარეთ და ჩავკირეთ იქ, სადაც ტრაპეზის ფეხი უნდა დასობილიყო და ეს ფულები იქვეა დამარხული. პომპოლიკმა დაგვანამუსა არავის უთხრათო და დღემდის არავისთვის მითქვამს; მაშინ ვიკითხე ეს, რაიზა დამარხეთ ფულები მეთქი და მითხრა: ეს ფულები ამ ეკკლესიას როდისმე ხელმეორედ ააშენებსო“.—„ნეტავი თუ დაძველდა ეს ეკკლესია“? მუსაიფში გამოურია ახმედამ.

ეს მიამბო ახმედამ და, რადგან ეს მოქმედება დღემდის საიდუმლო ყოფილა, ახმედას სიტყვებით, ვცანი საჭიროდ ამის გამოცხადება. ძველი შენობის შესამაგრებლად ეს ათას ცხრაასი მანეთი კარგი ფულია! სხვა ეკლესიების შესახებაც დავეკითხე, მაგრამ ფული არსად არ უხსენებია.

მღ. ნ. ჯიჯიეიშვილი

*** **ს. ახალდაბა** (ქართლი). **უხიდობის შედეგი.** არა ერთხელ ყოფილა მოხსენებული ქართულ გაზეთებში, თუ რა ტანჯვა-წვალებაში იმყოფებიან ს. ახალდაბაში მცხოვრებლები უხიდობისა გამო. თუმცაღა მთავრობა იმედს არ გვაკლებს ხიდის აგებისას, მაგრამ, ამ იმედსა და მოლოდინში ლამის სული ამოგძვრეს და ხიდს მაინც ვერ შევესწროთ, ამ ხიდზეა ჩვენი მთავარი ცხოვრება დამყარებული. აი მაგალითებრ: ახალდაბაში მცხოვრებლებს უმეტეს ნაწილს მტკვარგაღმა აქვთ სახნავ-სათესი მიწები და იქიდან გამოაქვთ მტკვარში დატვირთული ურმებით თითქმის მთელი წლის სარჩო. ჩვენი სოფელი საცოდავათ გამომწყვდეულია, ერთი მხრით რკინის გზა ჩაუდის და მეორეთი მტკვარი, არ გავიდენ მტკვრის გაღმით ან ურმით და ან ცხენით როდესაც აუცილებელი საჭიროება მოითხოვს არ ხერხდება, გადიან და უნდა ფათერაკში ჩავარდნენ. ერთი მხრით რკინის გზა არ უშვებს მცხოვრებლებს არც ურმით და არც ცხენით.

როდემდის უნდა ვიყვნეთ ასრე ხელით და ფეხით შეკრულნი?

იმედია, ახლა მაინც მალე გამოიღვიძებს ვინმე გულშემატკივარი პირი, და ამ ჩვენ მუდმივ ტანჯვა-წვალებას ყურადღებას მიაქცევს.

გიგო ზანაველი

**შეცდომის გასწორება.** გუშინწინდელს 581 №-ში დაბეჭდილ ნეკროლოგში ოლგა დედაბრიშვილის შესახებ აღუნიშვნელი დაგვრჩა «კვალის» №№ 7, 21 და 22, სადაც დაბეჭდილია განსვენებულის ოლ. დედაბრიშვილის მოთხრობები «ნამდვილი ამბავი» და «მეც თან წამიყვანე».

# თეატრის მატიანე

**ს. ნიკორწმინდა** (რაჭა) ქართულ რუსული წარმოდგენა კვირას 28 ივნის, რაჭის მაზრის პირველ ქალების სასწავლებლის სასარგებლოდ სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენილ იყო: რუსულს ენაზედ „ორი ძმა“ ხუთ მოქმედებიანი დრამა ს. ლერმონტოვისა; ქართულ ენაზედ „არც აქეთ არც იქით“ ვოდ. 1 მოქმ. ვ. გუნიასი და მეოთხე მოქმედება გიორგი ერისთავის კომედიდგან „დავა.“ ქართულს ვოდევილში ლამაზად შეასრულა ტარასი მშერიძის როლი ბ-მა ლათომშვილმა და აგრეთვე ბატონმა მავლაძემ ალექსანდრეს როლი რუსულს პიესაში. კარგი იყო ვერას როლში ქალბატონი იაშჩენკო (ადგილობრივი ბოქაულის მეუღლე), ბ-ნი მომეუმლიძე—სარქისას როლში („დავა“ ში) საზოგადოდ წარმოდგენამ კარგათ ჩაიარა.

დასასრულში ბ-მა მომცემულიძემ ლეკური ითამაშა და ძლიერაც ასიამოვნა საზოგადოება.

წარმოდგენაზედ დაესწრნენ: რაჭის მაზრის უფროსი თ. დადეშკელიანი, არდაგნის პოლკის აფიცრები და ადგილობრივი ბოქაული ბ-იაშჩენკო; სოფლის ხალხიც საკმაოდ მოვიდა.

დიდი მადლობის ღირსნი არიან: ადგილობრივი ბოქაული, რომელიც დიდს შემწეობას უწევდა მოთამაშეებს, არდაგნის პოლკის უფროსი, რომელმაც მუქთად ათხოვა ამათ სამხედრო მუზიკა და ზურნა და კურინსკი პოლკის უფროსი, რომელმაც აფიშები უფასოდ დაჰბეჭდვინა.

კარგი იქნება, რომ ჩვენმა ემაწვილ კაცობამ ცოტათი მოძრაობა დაიწყოს და მუქთად დროს ტარების მაგივრად, ასრეთ გასართობს და მასთან სასარგებლო საქმეებს მიჰყოს ხელი.

მაყურებელი.

## საპედაგოგიო კურსები ტფილისში

ლექცია, წაკითხული ი. ი. ფერაძისაგან, რუსულ ენის სწავლის შესახებ.

ბ-ნი ლექტორი ლექციაში შემდეგს შეეხო: საქართველოს შეერთება რუსეთთან და დასაწყისი რუსულის სწავლისა საქართველოში; რუსეთისა და რუსულის მნიშვნელობა ქართველისათვის; დიდაქტიკური შენიშვნები რუსულ ენის ადვილად შესწავლაზე და სახელმძღვანელოებები ამ ენის შესასწავლად ქართველთათვის.

შემდეგ სტამბოლის დამხობისაო, სთქვა ლექტორმა, რუსეთის სახელმწიფომ მიიღო მფარველობა მთელს აღმოსავლეთის ქრისტიანობაზე. ივერიაც მას შესცქეროდა და მისგან ელოდა მფარველობას. ივერიელთ და რუსთა შორის კავშირი და მეგობრობა თან-და-თან ძლიერდებოდა; ეს ქართლის დაუძინებელს მტერს—სპარსეთს არ მოსწონდა და ცეცხლით და მახვილით ილაშქრებოდა ქართველებზე. დიდხანს ებრძოლა მტრებს ერეკლე II, მაგრამ ველარ შესძლო, და ბოლოს შეუერთა თავის ქვეშევრდომები რუსეთს. ერეკლეს სურვილი რუსეთთან შეერთებისა მშვენივრად აქვს გამოთქმული ვ. ორბელიანს თავის ლექსში: „ირაკლი და მისი დრო“ და ნ. ბარათაშვილის—„ბედი ქართლისა“ პირველ ლექსში, ირაკლი გოდებს რა, თუ რა მოუვა მის ხალხს მის შემდეგ ულირს მემკვიდრის ხელში, უჩვენებს ხალხს ჩრდილოეთისკენ და ეუბნება: მინამ ცოცხალ ვარ ვიყოთ ძმებო და მერე რუსეთს შეუერთდითო. ესევე აზრია ბარათაშვილის ლექსში გატარებული: მინდა რუსეთს შეუერთო ჩემი ხალხი—ეუბნება ირაკლი თავის მდივანს სოლომონს, რათა მან მიუნიჭოს მშვიდობიანობაო.

მეფე ერეკლეს სურს თავის ხალხის მშვიდობიანობა; ამავე აზრით უყურებს რუსეთი საქართველოს, რაც ნათლად არის გამოხატული იმპერატორ ალექსანდრე I მანიფესტში: მივიღებ და შევიერთებ საქართველოს—სხვათა შორის, არის ნაბრძანები მანიფესტში—რათა დავამტკიცო მშვიდობიანობა და მართლ-მსაჯულება, პირადი და საზოგადოებრივი კეთილდღეობა. უშიშარ ვყო და მიუნიჭო თვითეულს კანონიერი მფარველობა.

შემდეგ რუსეთთან შეერთებისა, განაგრძო ლექტორმა—დამყარდა საქართველოში მშვიდობიანობა და წეს-წყობილება, ქართველი წელში გაიშალა და შეუდგა სწავლა-განათლებას. უმაღლესი სასწავლებლების კარებები გაიღო ქართველებისათვის, აღფრთოვანდა და

ფრთები გაშალა ლიტერატურამ რუსეთის ლიტერატურის გავლენის ქვეშ. ქართველმა შეიყვარა რუსული ენა, როგორც სალსარი გონებრივად და ზნეობრივად ასამაღლებელი, ერთი სიტყვით „რუსული ენა მეორე სამშობლო ენად“ გადიქცა ქართველისთვის. ორმოცი წლის განმავლობაში თუ რა შედეგი მოიტანა რუსეთთან შეერთებამ, ეს ნათლად აქვს გამოხატული ნ. ბარათაშვილს ლექსში: „ირაკლი მეფის საფლავი“. სხვათა შორის, ამ ლექსში პოეტი იგონებს რა ერეკლეს დროს და ადარებს რა აწმყოსთან, ამბობს: რად არ შეგიძლია წმინდაო ნაშთო წამოდგე და ნახო შენი საქართველო, შენი შვილებიო... შენი შვილები იძენენ ჩრდილოეთში განათლებას და თავის სამშობლოს ჰფენენო და სხვა და სხვაო...

ზემოთ ნათქვამიდგან ნათლად სჩანსო,—განაგრძო ბ-ნმა ლექტორმა, რომ რუსულის სწავლა აუცილებელია კავკასიელისთვისო. ამისათვის საჭიროა ამ ენის სწავლება გაგებით და ბრძნულად სწარმოებდეს ქართველთ შვილებში, რათა ყოველ მხრივი სარგებლობა მოიტანოს,—აღამაღლოს ბავშვი გონებით, ზნეობით, ჩაუნერგოს ერთგულება მეფისა და შემდეგ სწავლის დამთავრებისა, გაუხდეს იარაღად გონებრივ-ზნეობრივ ნივთიერად ასამაღლებლად. ეს რომ ასე იყოს, საჭიროა მისი სწავლება არ ეწინააღმდეგებოდეს ბავშვის სულიერ ზრდა-განვითარებას და ისწავლებოდეს თან და თანობით, ძალ-დაუტანებლად. აგრეთვე საჭიროაო, სთქვა ლექტორმა, სამშობლო ენის დახმარებით სწარმოებდეს სწავლა.

რადგან ქართველმა ბავშვმა რუსული ლაპარაკი არ იცის, ამისათვის სწავლა ლექსიკური გაკვეთილებით უნდა დაიწყოს, მინამ ანბანს ისწავლიდეს ბავშვი, უნდა ისწავლოს ახლო მდებარე და ნაცნობი საგნები, ადვილი გამოსათქმელი ზეპირად გადმოცემით, მასწავლებლის სიტყვებიდან ლექსიკურმა გაკვეთილებმა პირველ ნახევარ წლამდის უნდა გასტანოს სამრევლო სკოლებშიო. ჯერ ადვილი უნდა ისწავლოს ბავშვმა და მერე ძნელი. ნასწავლის შემწეობით მასწავლებლის დახმარებით მოკლე მოკლე წინადადებები უნდა შეადგინოს, ასე, რომ მინამ ანბანს ისწავლიდეს, მას კარგა მდიდარი საგზალი აქვს რუსული სიტყვებისა. წლის მეორე ნახევრიდგან, როდესაც უკვე სამშობლო ენა კარგად გაიკვეთა ბავშმა, შეუძლია რუსული ანბანი ადვილად შეითვისოსო.

რუსული წერა-კითხვა, როგორც ქართულისა, ერთად უნდა ისწავლებოდეს. ჯერ იმისთანა ასოები უნდა შეასწავლოს მასწავლებელმა ბავშვებს, რომლებიც მშობლიურ ასოებივით გამოითქმიან და მერე სხვები. შემდეგ ბ-ნმა ლექტორმა ორ-ნაირი საშუალება დაასახელა ასოების შესასწავლად; ესრედ წოდებული: წერა-კითხვა (письмо-чтеніе) და კითხვა-წერა (чтеніе письмо) აქ ვრცლად განმარტა, თუ როგორ უნდა შეასწავლოს პირველი უცნობი ასო მოსწავლეს და აგრეთვე ყველა ახალი ასოები. შემდეგ ანბანის სწავლისა, რუსული სწავლება საუბრის, კლასში წაკითხული სტატიების, წაკითხული ქართულზე თარგმნით და აგრეთვე ქართულიდგან რუსულზე თარგმნით უნდა სწარმოებდესო.

მასწავლებელი უნდა ცდილობდეს ბავშვს გააცნოს ჯერ ნაცნობი საგანი, თორემ ბავშვს ორი სიძნელის დაძლევა მოუნდება,—პირველი რუსული ენისა და მეორე უცნობ საგანზე გაუძნელდება, თუ ბავშვს ნათლად აქვს წარმოდგენილი ის საგანი, რომელსაც უხსნის მასწავლებელი, მაშინ პირველ სიძნელეს, რუსულ ენას ადვილად დაძლევს. მაგრამ აქ ისიც უნდა ვსთქვათ, განაგრძო ლექტორმა, რომ მარტო ნაცნობი საგნები და მათი თვალწინ წარმოდგენა საკმარი არ არის, იმიტომ, რომ იმისთანა საგნების სწავლა უხდება ბავშვს, რომელიც თავის დღეში არ უნახავს, აგრეთვე იმისთანა განყენებული აზრები უნდა შეითვისოს, რომ ბავშვს არ შეუძლია კარგათ გაიგოს, მაგალ.: ღმერთზე ბასი და სხვა, თუ სხვა საშუალებას არ მიმართა მასწავლებელმა, ეს საშუალება სამშობლო ენააო. ამ ენაზე უნდა ითარგმნოს რუსულიდან, რომ ბავშვმა საფუძვლიანათ გაიგოს ახსნილი. აგრეთვე საჭიროა წერა ნასწავლის, ეს პირველად ბავშვი ლექსიკონს ამდიდრებს და მეორედ აჩვევს მართლ წერას.

მასწავლებელი აჩქარებით არ უნდა ასწავლიდეს რუსულს, არამედ უნდა ცდილობდეს შეაყვაროს რუსული ენა და აღუძრას სურვილი სწავლის შემდეგ ისევ ივარჯიშონ ამ ენაში; და, თუ კარგად დააყენა საქმე ამას ადვილად მიახწევსო. აი, ამ შემთხვევაში გახდება რუსული ენა „მეორე სამშობლო ენაადო“.

რუსეთის პედაგოგები იმ შეხედულობისანი არიან, რომ ყველა ხალხს, რუსეთის ქვეშევრდომს, ისეთი სახელმძღვანელო უნდა ჰქონდეს, რუსული ენის შესასწავლად რომ მის ყოფა-ცხოვრებას და ზნე-ჩვეულებას შეეფერებოდესო. ამისთანა სახელმძღვანელოს შედგენა ადვილი არაა, რადგან მცირეოდენ პედაგოგიურ დახელოვნებას და ნიჭს არ ითხოვს. ჩვენ ქართველებს ამისთანა პედაგოგი ბ-ნი ი. გოგებაშვილი გვყავს. იმის სახელმძღვანელო «Русское слово» დიდის ხელოვნებით და საგნის ცოდნით არისო შედგენილი და ჩვენს სკოლებშიც, როგორც საუკეთესო სახელმძღვანელო, ეს იხმარებაო. ამით გაათავა ბ-ნმა ფერაძემ ეს ლექცია.

მ. ლიხელი

---

### ყურმოკრული საუბარი

—

გერმანელს ჰკითხეს, რა გინდა, რომ სრულად ბედნიერი კაცი შეიქნეო.

მან უპასუხა:

— იმდენი ლუდი, რამდენიც კი შემიძლია დამელიაო და იმდენი ძეხვი, რამდენიც—კი შემიძლია შევჭამო.

— კიდევ რაო? ჰკითხეს მას.

— კიდევ ერთი ჭიქა ლუდიო.

---

## დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან),

9 ივლისი.

**ლონდონი.** პალატა. გაშენი ითხოვს-რა დამატებით ხარჯს ფლოტზე, ამბობენ, რომ რუსეთი აკეთებს ექვსს ახალ გემსაო, თუმცა წინედ მარტო ორი გემი ჰქონდა განზრახულიო. ამიტომ ჩვენც უნდა ახალი გემი გავაკეთოთო. ხარჯი ამ ახალ გემებზე აღრიცხულია 8 მილიონი გირვ. სტერლინგი.

**პარიზი.** გაზეთები ამბობენ, რომ ისპანიის და ამერიკის ელჩები შეუდგნენ იდუმლად მორიგების პირობებსო. ამერიკის საელჩო ამბობს, რომ არავითარი მოლაპარაკება არ გვქონია ზავზეო.

**პეტერბურგი.** ჩამოვიდა ბულგარეთის მთავარი ფერდინანდი მეუღლითურთ და მემკვიდრე ბორისითურთ.

**პეტერგოფი.** ხელმწიფე იმპერატორმა სადღესასწაულო სადილზე წარმოსთქვა ბულგარეთის მთავარი და მთავრინას და მემკვიდრე ბორისის სადღეგრძელო. ფერდინანდმა სამაგიერო სადღეგრძელო დალია და სიტყვა რუსულად დააბოლავა.

**ლონდონი.** პალატა. გაშენი ამბობს, რომ ინგლისის ფლოტის გაძლიერება გამოწვეულია რუსეთის ფლოტის გაძლიერებით, ხოლო რუსეთი თავის ფლოტის გაძლიერებით კი არ გვემუქრება და არც ჩვენ ვისმე ვემტერებით.

**ვაშინგტონი.** გენერალი ანდერსენი დეპეშით იუწყება მანილიიდგან, რომ აგვინალდომ დიქტატორობა გამოაცხადაო და აჯანყებულები ფიქრობენ ფილიპინის დამოუკიდებულ თავისუფლებას მიაღწიონო.

---


ახლად გახსნილი

# სტამბა „ცნობის ფურცლისა“

ტფილისი, სასახლის ქ., სათავად-აზნაურო ქარვასლაში №№ 119 120 და 121

სტამბა ყოველისფრით სავსე და მოწყობილია

ყოველგვარი საქმე სრულდება სწრაფად. სუფთად და იაფად.

სტამბა ასრულებს აგრეთვე პროვინციის მცხოვრებთა შეკვეთას, მსურველნი მიჰმართავენ სტამბას, რომელიც კისრულობს ხელ-ნაწერების აწყობას, დაბეჭდვას, ქაღალდის ყიდვას, კორექტურას, ენის შესწორებას, საცენზუროდან ნება-რთვის აღებას და სხ.

ჰბეჭდავს სავიზიტო ბარათებს სხვა-და-სხვა გვარ ქაღალდზე ვაჟებისა და ქალებისათვის იაფად და შნოიანად.

ВОВНОВЬ ОТКРЫТОЙ

ТИПОГРАФІИ

„Цнобисъ Пурцели“

В. Л. ГУНІА

Тифлисъ, Дворц. ул., д. Грузинскаго Дворянства.

Исполняются всевозможные заказы на всѣхъ Туземныхъ и Европейскихъ языкахъ

**Дешевизна, изящество и быстрота исполненія**


Дозволено цензурою. Тифлисъ, 13 Іюля 1898 г. სტ. „ცნ. ფურც.“ (ვ. გუნიასი), სას. ქ. სათ.-აზ. ქარვ. რედაქტორ-გამომცემელი ვ. გუნია